



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 65

„28“ ოქტომბერი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
არსებული ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ  
გადაცემაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის  
კოდექსის“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

1. სათანადო დასაბუთების არქონის გამო უარი ეთქვას სახელმწიფოს  
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ,  
თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მდებარე 55 446 კვ.მ  
არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული  
2 შენობა - ნაგებობის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე (ს/კოდი  
№53.14.39.065, №1 შენობა - ნაგებობის ფართი - 398 კვ.მ, №2 შენობა - ნაგებობის  
ფართი 87,7 კვ.მ).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ  
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი,  
დავით აღმაშენებლის გამზირი №41)

საკრებულოს თავმჯდომარე  პაკატა გიორგობიანი

